




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 153

2016 წლის 21 დეკემბერი

ხაშური




ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის საპარლამენტო ბიუროსთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის საპარლამენტო ბიურო (ს.კ.205334299) განთავსებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, ტაბიძის ქუჩა №2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე, უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №69.08.58.209.01/515) არასაცხოვრებელ ფართში. მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის ბიუროს უფლებამოსილი პირის ნანა ლომიძის 2016 წლის 14 დეკემბრის №1 წერილის საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობას მიზანშეწონილად მიაჩნია გადასცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის საპარლამენტო ბიუროს აღნიშნული ფართი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის მიხედვით საჭიროებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურში, ტაბიძის ქუჩა № 2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე განთავსებული 106,30 კვ.მ. უძრავი ქონების (ს.კ. 69.08.58.209.01.515) არასაცხოვრებელი ფართი გადასცეს, ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს საპარლამენტო ბიუროს (ს.კ.205334299) განთავსებისთვის, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2020 წლის 31 დეკემბრამდე;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე